

# ნაბეჭდები



၁၉၆၂ခုနှစ်၊ ၂၁၊ ဧပြီလ၊ ၁၈၁၁

# საქართველო

1921 წლის 20-XVII № 5 1921 წლის 20-XVII



## მინახრ სი.

1. ნაძვის ხე—სურათი . . . . .	1
2. შობის ხე—ლექსი (თავისუფალი თარგ.) ილ. სიხარულიძისა .	3
3. პაპის ნამშბობი—გუგო ნარევილისა . . . . .	7
4. ნინა—ლექსი მიმქრალისა . . . . .	22
5. მოხერხებული მელია—მიმქრალისა . . . . .	23
6. ზამთარს—ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	26
7. მურზილკას თავგადასაფალი —თარგ. (შემდეგი) ნ. ღიასამიძისა	28
8. საბჭოთა პირეელი საბავშვო მოედანი—ელ. სილიჩისა . . . . .	35

---



## ମନ୍ଦିର ଶ୍ରୀ

ଶାଶ୍ଵତଶ୍ରୀ. ଧ୍ୟାନ, ପ୍ରକାଶକାରୀ, ମନ୍ଦିର ଶ୍ରୀ

ଶ୍ରୀ ରାଧ ମହାନ୍ତିରାଜ,

ଶ୍ରୀ ରାଧାକୃତୀ ମହାନ୍ତିରାଜ;

ଶ୍ରୀ ରାଧାକୃତୀ ମହାନ୍ତିରାଜ,

ଶ୍ରୀ ରାଧାକୃତୀ ମହାନ୍ତିରାଜ,

ଶ୍ରୀ ରାଧାକୃତୀ ମହାନ୍ତିରାଜ,

ଶ୍ରୀ ରାଧାକୃତୀ ମହାନ୍ତିରାଜ,





ჩა ღოლუ-დილობით ნორჩ ტოტექმისალიოთავა  
ითბობდა ნაზად მზეზედა,

ღამ-ღამობით კი ვარსკევლავნი  
ღაციძციძებდენ თავზედა.

ზამთარი თოვლის ჰატელიდან  
თბილს ნაბადს ტანზე აქსოვდა,

ბებერი ნაძვი კი ზღაპრებს  
ეტეოდა, რაც რომ ასხოვდა,

ჩა გაზაფხულზე, როდესაც

მზე თქროს შუქით ალობდა,

ბელბელი შორით მოსული

სშირად მის ტოტზე გალობდა.

ასე ატარა მან ტექმი

შვება სიაშით დღენია,

ახლა იგონებს თვის წარსულს,

მიტომაც მოუწენია.

**ბაგზე.** ჩვენ მოვეკაზმავთ ჩვენ შობის სეს

აფაჭრელებთ, გავაბრწეინებთ,

ზღაპრებს ვეტევით ათასნაირს,

ტებილს სიზმრებში ჩავაძინებთ.

აფაჭრელებთ, ავაბრწეინებთ

ნაირნაირ სამეაულით,  
 ვუმდერებთ და შემოვსცინებთ,  
 შემოვსებით გარს ფერხულით.  
 აი, კიდეც მოვრთეთ კოსტად,  
 ავანთეთ და გავაბრწეინეთ,  
 ნახეთ თუ არ გაიხარა,  
 შეხედეთ თუ მოვაწეინეთ.  
 რა კარგია ჩეუნი ნაძვი,  
 როგორ შევნის სამეაული!!  
 ჴე, ბავმვებო, ხელი სელსა,  
 დაუაროთ გარს ფერხული...  
 გამარჯობა შობის ხეო!  
 რა კოსტად ხარ მოყაზმული,  
 როგორ ბზინავ, როგორ ბრწეინავ,  
 როგორ გშევნის გარს ფერხული!!  
 თეთორ ღინდლიან ტოტებს გვიწვდი,  
 მყერდს ჩაგვიკრა, თთქმას გინდა,  
 შენს მწვერგალზე სანთლის შუქი  
 ჟარსკვლავიგით ამობრწეინდა.  
 ნე მოიწევნ, ღაივიწევ  
 რე და შენი ფიჭვანაძენარი!

ଧାର୍ଯ୍ୟରେ, ରା ରୂପଜ୍ଵା ଖାର,  
 ମନ୍ଦିରିବଳାଙ୍ଗ, ନାଥ, ଶ୍ରୀନାରାତ୍ରି.  
 ତା ଅନ୍ଧରେନ୍ଦ୍ରାନ୍ତି ରୂପେ ଅନ୍ଧରେନ୍ଦ୍ରି,  
 ଆଶିର୍ବାଦ ପୂଜେ ମନ୍ଦିରାଲିକିନ୍ତୁ,  
 ଅନ୍ଧରେନ୍ଦ୍ରି ରା ଅନ୍ଧରେନ୍ଦ୍ରିବଳାଙ୍ଗ,  
 ଅନ୍ଧରେନ୍ଦ୍ରି ରା ଅନ୍ଧରେନ୍ଦ୍ରିବଳାଙ୍ଗ.  
 ଶ୍ରୀ, ଦାତାଶ୍ରୀପତ୍ର, କେଳି କେଳିତ,  
 ଧାର୍ଯ୍ୟରକତ ପାର୍ବତୀ ଯୁଦ୍ଧରେନ୍ଦ୍ରି,  
 ରା ପାର୍ବତୀ ଶ୍ରୀନି ନାମି,  
 ରାଗର ଶ୍ରୀନିଃ ଶାମ୍ଭବୀନି!...

ଲେ. ଶଶିରାମପାତ୍ର





## პაპას ნაამბობი.



აღამებული იქო. გარეთ თოვდა და ციფი  
ქარი უსტკენდა. ბეხარში ცეცხლი ნებანება  
გუსგუზებდა და სან ძლიერი აღით ანა-  
თებდა ჩემს პატარა ფიცრულ თთახს,  
სან კი, თითქოს ჩასთვლიმათ, ჩემის ბურ-  
ბურით აკანკალებდა კედლებზე უცნაურ ჩრდილებს.

გრძელ ტახტზე ვიწეუით მე, ჩემი მმა ნიკო და ჩემი  
ბიძაშვილი ლადო.

დიდება სალომე უკვე სვრინავდა ტახტის ბოლოში.  
პაპა იღიაკო დაუიქრებული იჯდა პატარა სის სკამზე ბუხ-  
რის წინ და ცეცხლს ჩასცეკროდა.

ეველანი ჩუმად ვიუავით, თუმცა კი არ გვეძინა, და გაშტა-  
რებით უკრის ვუგდებდით ცეცხლის მობურბურე ზღაპარს.

—პაპა!.. ჭარ, პაპა!.. —წამოიძახა უეცრად ლადომ,—  
გვიაშვე რამე, ისეთი კი, რომ მაღალ საშინელი იქოს...

ეველანი თითქოს გამოვყიშლდით.

სასიამოვნოა ზამთრის ღამეს დოვინში თბილად  
ეოფნა: გარეთ ციფა, თოვლია, ქარი, ტალახი, შენ კი თბი-  
ლადა ხარ განვეული საბანში, უერებაძლის ჩამერალხარ  
ლოგინში და იქიდან, თვალებ დაჭერილი, ქარის ზუზუნსა



და ცეცხლის პრიალს თვალ-უერს აღევნებ... მეტადოურობულ  
ვინმე რამე ამბავს გიამბობს ნელი, წენარი და დინჭი სმით,  
გავიფიქრე მე და სმა მაღლა წამოვიმახე:

— ჟო, ბაბა, გძნაცვალე, გვიამბე რამე, მაინც არ გვა-  
მინება ჯერ...

ნიკომაც თავი წამოჭერ.

ბაბა იღიკო მეიშმუმნა, თვალები ბუხარს თავამდე  
ააუთლა და მოწევნილი, დაბალი სმით წარმოსთქვა:



— აბა რა გიამბოთ, აღარა მასხოვს რა...

— გეცოდინება რამე, ბაბა, შენი ჭირიმე, გვიამბე...

თუ გინდა სულ პატარა მაინც, ოდონდ გვიამბე!.. — დაჭე-  
ღრიჭეთ ეველანი ხვეწინით და ლოგინებში წამოვსხედით.

— გარგით, დაწექით, არ გაცივდეთ, გვიშვით რასმე,—



ჯიმილით შემოგვიტია პაპამ და ისევ ცეცხლს დააძლენის, ყველა რა და როგორ და თითქოს ძველ, მიუიწევებულ ამბის მოგონებაში გაერთოთ.

ჩეენ დავწერით, თბილად გავეხუიერით და სმენად გარდა კიქეცით.

პაპამ შეძის ნაჭერი შეუკეთა ცეცხლს, თავი სელებზე დაიკრძნო და ასე დაიწეო:

— ის, რაც ახლა უნდა გიამბოთ, ჩემს პატარა ბიჭობაში მოხდა. მაშინ თერთმეტი წლისა ვიქნებოდი. თქვენი ჯიღედა, სალომე, სულ პატარა იყო. ბჟვრი, ბჟვრი — ოთხი ან ხუთი წლისა ეოფილიყო.

— იმ ქა, შენ კიდევ რაებს ამბობ! ოთხისა კი არა, ბარებ თრი წლისა თქვი!.. — წამოიძახა ტახტის ბოლოზენ სამინარევი სმით დიღედა სალომე, რომელსაც ჩვენს პატარა გამოჭდებოდა: და თურმე ეურს გვიგდებდა.

— მაშინ რამდენისა იქნებოდი? — შეტევით იგითხა პაპამ.

— რამდენისა ვიქნებოდი, და ამ შენ იანგარიშე: კენკა-მიანთ მაიამ რო ჭვარი დაიწერა ღვინობისთვეში, იმის წინა დღისით შენა სარ დაბადებული; თვითონ საწეალი მაია იტეოდა სოლმე. მე კიდე, სამი წლის უკან რომ ჩაბეჭლაანთ ბებური კამები მოუკვდათ, სწორედ იმ დღისთა ვარ გაჩენილი... იანგარიშე, შენ ჩემზე სწორეთ სამი წლითა სარ დიდი...

დიღედა კიდევ ბევრხანს აპირებდა ლაპარაკს, მაგრამ პაპამ სიტევა შეაწევეტინა:

— კარგი, მაშინ მე შენზე სამი წლითა ვეოფილვან დიდი, ასე რომ, როცა მე თერთმეტი წლისა ვეოფილვარ, შენ მაშინ რვა წლისა იქნებოდი.



— ჴო და ეპრე!..—ნიშნის გებით წამოიძახა ღიღედა  
და ისევ დაწვა.

— რას ვამბობდი, დამავიწედა კიღეც,—წარმოსოქვა  
ჰაბამ ცოტასნის სიჩუმის შემდეგ,—ჴო, მე თერთმეტი  
წლისაზე მეტი არ ვიქნებოდი. არც მას მევანდა, არც და.  
ღების ერთა ვიუავი. მაშინაც ამ სახლში ვცხოვრობდით.  
მამაჩემი განთქმული მონადირე იუთ და ზამთარ-ზაფხულ,  
როცა კი მუშაობიდან მოიცლიდა, სანადიროდ დადიოდა.  
ჩვენს ტექში ბლობა ნადირი იუთ: ირემი, შველი, კურდ-  
ლელი, დათვი, მეტო, მელა, გარეული ღორი. ისე არ  
წავიდოდა მამაჩემი, რომ ან შველი, ან კურდლელი, ან  
რაიმე სხვა ნადირი არ მოკლა და არ ჩამოეტანა.

ერთ ზამთარს მალიან დიდი თოვლი დაღ. აი ამ თოვ-  
ლიან ზამთარში, ერთ სადამოს, ჩვენსა მამიჩემის ამხანაგე-  
ბი შეიკრიბნენ. ხელად ერთი ბურვაკი დაჭლეს და მწვადები  
დაამზადეს. მამაჩემმა ქარგი დვინო ამოიღო ქვევრიდან და  
ქეიფს შეუდგნენ.

როცა ქარგა შექეიფიანდნენ, თავიბნთი ნადირობის ამ-  
ბები მოიგონეს. ბევრი იცინეს, ბევრი იხუმრეს და ბოლოს  
გადასწევიტეს, ამ დიდ თოვლშიაკ ენადირნათ, რომ  
შემდეგში ნიშნეული მოსაგონებელი ჰქონდათ.

მართლაც ასე მოიქცნენ. მამაჩემმა იმ დამექუე გამართა  
თავისი თოვი და მეორე დილით, როცა მე ისევ მემინა,  
ადრიანად წასულიერ. ის დღე არაფერი. დადამდა, და მამა-  
ჩემი არ მოსულა. ღვედაჩემი შფოთავდა: ის კაცი სად დაი-  
კარგა, ვინ იცის, დაემართა რამეო. მეც კი მეშინოდა და  
დარწი მქონდა ჩაეთლილი გულში, მაგრამ მაინც დავწექი.

სიზმარში ჩვენს მეზობლიანთ ბიჭს ვანოს კეჩხუბებრდი კოჭების გულისათვის, რომ უცებ ვიზაცამ საბანი გადამხადა და ხმა მაღლა წამოიძახა:

— აი ვინ მოუვლის მაგას!.. უჰ! შენ კი გენაცვალე, რა დაკონილსა სმინავს! ბიჭო ილიკო, აბა ადე ჩქარია, რა გაჩვენო!..

ცოტა არ იუთს, არ მესიამოვნა, რომ ასე შემაწუხეს და მილი დამიურთხეს, მაგრამ როცა თვალები გავახილე და ტახტიდან ოთახს გადავხედე, მილიც დამაკიწედა და ლოგინიც: ბუხრის გვერდზე, კუთხემი, აი სწორეთ ამ ალაგას, კარგა მოზრდილი შეელი იდგა. წვრილი და მაღალი ფეხები ჰქონდა, შებლზე ორი ჰატარა რქა, ბეწვით შემოსილი, თვალები დიდოონი და შავი.

ისეთი ლამაზი იუთ, ისეთი, რომ კინადამ არ გადავი-



რი სიხარულით. მამაჩემი იქვე იღგა და სიცილით შემოძურებდა. როგორც გიყი, ისე წამოვხტი და მივვარდი შეეჭას. საბორალოს ისეთი შემინებული, აღქავებული და



დანაღვლიანებული თვალები ჰქონდა, რომ სიბრძულულების გული ჩამეთვთქა. მივუაღერს და თვალებიდან დაწეებული ტუნებამდე გადავკოცნე. მამაჩემი სიცილით დამუჯრებდა.

— რაო, ჩემო იღიკო, მოგიუვანე შველი თუ არა! — იმეორებდა მამაჩემი და ისევ სიცილს განაგრძობდა.

დედაჩემიც მსიარელად დაფუსფუსებდა ვახშმის სამზადისში.

მე სულად ტანთ ჩავიცვი, აბა რაღა დამამინებდა! ბევრი ვეაღერს ეს შემ შველს, ბევრი ვეოცნე და ბოლოს შერის ჭმებაც დაგამირე, მაგრამ მამაჩემმა მითხრა: თავი დაანებე, ცოდვაა, დაისვენოს, შეძინებული და დაღლილიაო, და მეც სიხარულის დიმილით მოვმორდი ჩემს ახალ ამსანაგს; მივუჭქერი მამაჩემს გვერდით და ვახშმობა დავიწევ, მაგრამ ცალი თვალი შელისეკენა შეონდა.

მე და დედაჩემს ვახშამზე გვიამბო მამაჩემმა შელის დაჭერის ამბავი. მალიან ღრმა თოვლი უოუილიერ და ეს ცხოველი, სხვებზე მომცრო და სუსტი, ვერ მიჰყოლოდა თავის პატარა ჯოგს: უკან ჩამორჩენილიერ და, თოვლში ჩაფლული, ვეღარსხდ წასულიერ. საცოდვაი თურმე იქვე მდგომ მუხას მიეუუდა, დაღლილადაქანცხლი ძლიერს-და ქაქანებდა და შეძინებულ თვალებს აქეთიქით აცეცებდა. მამაჩემს მორიდანვე დაენახა, ჩუმად მიჰპაროდა და ცოცხალი დაჭრია.

პაპა ცოტახანს გაჩემდა და შემჩევ განაგრძო:

ჩემ შეელს „მაუგალა“ დავბრევი. მოელ ზამთარს თთახში მევანდა. სულ თავს ვევლებოდი, არ მოვმორებივარ: სან შერის ვაჭმევდი, სან ვაძლის ნაფცევენებს, სან კიდევ ქვა-



მარილს ვალოკებდი. ისე შეძეჩვიდ და ისე შეუვარდი ჩემსაცხადი, მაუვალას, რომ ურთ ნაბიჯზე აღარა მშორდებოდა. დილა აღრიან, როცა მე ისევ შეძინა, მაუვალა მოაბაკუნებდა ჩემს ლოგინთან და თავის რახუნით გამაღვიძებდა ხოლმე. მეც წამოვავდებოდი ლოგინში, გაუალერსებდი, უუჩი, უუჩი, მაუვალა მეთქი, და დავიწევდი ჩაცმას. ღვთის წინაშე მეც მალიან მიუვარდა ჩემი მეგობარი. ამხანაგებში აღარ გავდიოდი: ჩემი გასართობი და ჩემი სისარული მაუვალა იქო. იმის მეტი აღარა მასხოვდა რა.

ისიც სულ უკან დამდევდა. ტახტზე რომ ჩამოვავდებოდი, მოვიდოდა ხოლმე, ნებიერად კალთაში თავს ჩამიდებდა და მუბლით ხელებზე მეხახუნებოდა. როცა სხვაგან წავიდოდი, ან მეზობლიანთსა, ან უნახში, ჩემ მაუვალას სახლში ვტოვებდი. რომ მოვიდოდი, ჩუმად მივიპარებოდი ფანჯარასთან და დავათვალიერებდი, რას ძკრობებს ჩემი მეგობარი მეთქი. ფანჯარასთან დამსალული, უცებ ხმა-მაღლა დავუძახებდი: უუჩი, უუჩი, მაუვალა მეთქი, და უნდა გენახათ, ამ ღროს რა სანახავი იქო: თუ იწვა, მსწრაფლ წამოხტებოდა, უცებ მოტრიალდებოდა უურებ-დაცესეტილი და გაკვირვებულის თვალებით მეძებდა. ერთაორ ნაბიჯსაც წამოსდგამდა კარებისაკენ. მე კიდევ გაუმეორებდი მასილს. რაკი მეორეთ გაიგებდა ჩემს ხმას, როგორც ციბრუტი, ისე დატრიალდებოდა ოთახი. მეძებდა და ვერ მჰოვლობდა. სწრაფად შევაღებდი კარებს და სიცილით დავდგებოდი მუა კარებში. ოჭო, რა გახარებული ზმუილით გამოიქცეოდა ჩემს მოსაგებებლად!

დადგა გასაფხული. ხეები აევავდა, ბალასი ამწვანდა და მეც ჩემი მეელი ჩვენს სახლის წინ ბაღში გადავასახლე.

დღისით ბაღში ვთამაშობდით; როცა დავიღდებოდა, ან დატურდებოდა, ახლად გაფურჩქვნილ იასამნის ჩრდილში შეივაჭიდებოდი ხოდებე. მავალაც გვერდზე მომიწყებოდა, თავს კალთაში ჩამიდებდა და ისე ძემომურებდა თვალებში, თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ენა არ ემორჩილებაო...

ეკე! ის დრო ჩემთვის თქროს დრო იქო... პატარა ბიჭებელა ვიუავ; არც დარდი მქონდა, არც ბოლმა: ვიჯექ ჩემთვის ჩემი შევლით იასამნის მირში და ნორჩ ფოთლების წურჩულს ეურს ვუგდებდი. ღამდამობით მავალას ბაღში გაკეთებულ პატარა მეტოდობილში ვაბინავებდი. დილით ისე არ გამოეიჭოდი აივანზე, რომ ის ჩემი ვუხის ხმის გაგონებაზე არ წამომსტარიეო და გახარებული ზმუილით არ მომგებებოდა წინ. ღობეს ვერ გაღმოახტებოდა თუ?! ჩენებურა ბიჭები შერისაგან იხოცებოდნენ. ჩემი შევლი მოელი სოფლის სალაპარაკო იქო. უკელაზე ძალიან ისა ჟმურდათ, რომ საცა კი წავიდოდი, ან ლხინში, ან ვენახში, ჩემი მაუვალა ბატქანივით გვერდზე მომდევდა და ერთ ნაბიჯზედაც კი არა მმორდებოდა.

ასე ტებილად ვცხოვრობდით მე და ჩემი მეგობარი. მეც ძალიან მიუვარდა და ვერც დავემდერებოდი.

დადგა ზაფხული და ჩენს სოფელში სხა გავარდა, რომ ტექში უცნაური ნადირი გახნდა, სახელად მგელ-კაცაო. სოფლის განაპირა ბაკებში რამდენიმე ძროხა გამოვაძეული ებოვათ. ერთი ჩენებური კაცი, რომელსაც მორიდან მოეკრა თვალი მგელ-კაცასთვის, გვიამბობდა: ისეთი საძინელი რამ არის დასანახავად, რომ კაცს თმები ეალეს დაუდგებაო. ზურგზედ აბურძენული ჯაგარი, გამოწეული დინგი, დაკრე-

ჭილი, აღმასივით სახრი კბილები აქვს იმ ვერანასგარენია, ამბობდნენ, საიდანდაც გადმოვარდა ჩვენძი ეს ნადირი, რადგან წინად არავის უნახავს ჩვენს ტუქმი ამისთანა შევციო.

მგელ-კაცა ეველგან დამრწოდა.

ერთ ბებერ კაცს, რომელსაც თავისთვის ნელი ღიღინით ურმით შემა მიჰქონებოდა სახლში, შეაღდის გულზე ჩუმად მიჟაროდა, აქვარდნოდა ურემზე და მთელი სასხე ღაერღინა. ჩვენს სოფელში, ქვემო უბანში, ერთი ქვრივი ცხოვრობდა. ერთად ერთი ბიჭი ჰქვანდა, ჩემი ტოლი, თედო ერქვა სახელად.. ჭო და იმ ზაფხულს თედო თავის ღერას გუთანზე გაეგზავნა. დამე მინდორში ურმის ქვემ დასძინებოდა საწეალ ბიჭს. თურმე მგელ-კაცა იქვე სადღაცა კოუილიუმ; დასცემოდა საცოდავ თედოს და უელი გამოედავდნა. კიდევ ბევრი სალხი დაგლიჭა წეველმა მგელ-კაცამ; სად მოგითვალით, აღარ მასხოვს. იმასაც ამბობდნენ, მგელ-კაცა დამე საფლავებსა სთხრის, მყვდრები ამოაქვს და სჭამსო.

ბევრს ლაპარაკობდნენ ამ საზარელ მსეცზე. ამ ერთმა ნადირმა შიშის ზარი დასცა მახლობლად მდებარე სოფლებს. სალხს დამე კარძი გამოსვლისა ეშინოდა. ღედები შვილებს გარეთ აღარ უშვებდნენ. ღედაჩემბაც ჩამკეტა ოთახში, ან მე თვითონ რა გამოვეანდა სადმე შიშით. ჩემი მაუვალაც გვერდით მევანდა და მეც სხვა არა მინდოდა რა. როგორც მე ღედა არ მიშვებდა გარეთ, ისე მე მაუვალას არ ვუშვებდი არც ღღედა არც დამე. დანაღვლიანდა ოთახში ჩემი შეელი... ჩვენი საუკარელი ალაგი ახლა ფანჭარა გახდა. გავიურებოდით მე და ჩემი მაუვალა ბაღში და ბეღურა ჩიტების ჭიკჭიკს ეურს ვუგრებდით.



ერთხელა ჩემი შეკვი ფანჯრიდან ბაღში გამოსუნდესთა  
და. მე ტახტზე ვიჯექი და მეონი ჭოხსა ვთლიდი. შცებ  
მავეალა სწრაფად გამოექანა ჩემსკენ, გზაში შეიკუნტრუძა კი  
დეც და მასვეწარი ზმეილით წინ დამიდგა. მერე კარებისკენ  
გასწია, მივიდა მიხურულ კარებთან, დადგა და ისევ მოიხე-  
და ჩემსკენ. მე გამტერებული ვუურებდი, ნეტა ამ შეკლს  
რა დაემართა-მეთქი, გავიფიქრე. კერ ვერაფერს მივხვდი, მა-  
გრამ როცა ისევ ისე ნელა დაიშეველა, კარებს რქები აუ-  
ხახუნა და ისევ ნაღვლიანად გადმომსედა, მაძინ კი გავუგე  
წადილი: საბრძლო მავეალას გარეთ, ბაღში, მწვანეზე გათა-  
მაშება უნდოდა. მერე იმ უკანასკნელ ხანებში მოელი საა-  
თობით ეურებ-დაცეკვეტილი და თვალ-გამტერებული გაიგუ-  
რებოდა ფანჯრიდან ბაღში. ხელად გადმოვხტი ტახტიდან,  
მივევარდი, მოვუალეოსე, ორივე თვალები გადაუკოცნე და დარი-  
გებბა დაუწევე: ნუ, გენაცებლე, ნუ გინდა გარეთ, თორებ მკელ-  
ქაცა მოგეპლავს. იცი რა ბოროტი და საძინელია მგელ-კაცა?

ასე ველაპარაკებოდი ჩემს შეკლს; ის კი ნაღვლიანად  
შემომცეკვეროდა, თითქოს რაღასაც დასაღონებელსა ჰერმიობ-  
სო. ახლაც თვალწინ მიდგა მავეალას დიდოონი, დაფიქ-  
რებული თვალები. ისე მიგდებდა ეურს, თითქოს ვეკლაფე-  
რი ესმოდა.

ბოლოს ხალხიც მალიან შეწუხდა. ადამიანი ვენახში  
სამუშაოდ ვერ ჩასულიერ მგელ-კაცას მიშით.

ჩვენს ტექსთან მახლობლად მდებარე სოფლის მონადი-  
რებმა გადასწევირეს, ერთად წასულიერნენ, ეპოვათ მგელ-  
ქაცა და მოეკლათ. მამაჩემიც წავიდა და ორ დამეს აღარ  
დაბრუნებულა.



რაკი მონადირეები წავიდნენ, ეველას გული დაგვისტულოთა შეიძღა. შიძისაგან მიერუებული ჩვენი სოფელი ისევ გამ-  
ხიარებულია. ეჭვესიის გალავნიდან მოთამაშე ბიჭების ქრის-  
მული მოისმოდა. ეველა იმ იმედზე იქო, რომ ჩვენი მონა-  
დირეები უაჭველად მოჰყლავნ მგელ-კაცასაო.



მე და ჩემი მაუვალაც გამოვედით ბაღში. უნდა გენახათ,  
როგორ გაუფაციცდა და გაუბრწეინდა თვალები. მწვანე ბა-  
ღაზე რომ ვაიარა ჩემმა ძველმა, სიხარულისაგან სულ კა-  
მარას გადადიოდა. მეც სიცილით დავდევდი და დავთამაშებდი.  
ის დღე მშეიდათ გავატარეთ.

დამე ჩემი მეგობარი ძველებულად ბაღში დავაბინავე.

მე კი სახლში მეტინა. გულში ცოტათ დფნი შიში ქონდა მარტვა  
ჩაეთლილი. ამიტომ მეორე ღილით ძალიან ბრუ ბევრები  
და ბაზმი გავვარდი. მავალა თავისებურად გადმოასტა დაბალ  
შემოღობილს და წინ მომეკება. გული ღამიმჟიღდა. ის  
დღეც თამაშობაში გავატარეთ. მაგრამ მსე სულ ცოტა ხნის  
ჩასული იქო, რომ ტეიდან თოვის ხმა მოგვენია. ცოტა ხნის  
შემდეგ გიღვე რამდენჯერმე გავარდა ტექში თოვი. მაშინ კი  
საკსებით დამიმჟიღდა გული: ეტეობა, მკელ-კაცა მოჭეჭეს  
მეთქი, და ჯერ შებინდებული არ იქო, როცა ჩემი მავალა  
დაგაბინავე.

სახლში შევედი და მე და ღებაჩემა ვახშის ჭამა  
დაგრწევთ.

უცემ ისეთი საზარელი ხარხარი მოვკება ჩვენი ბადა-  
დან, სწორედ იქიდან, სადაც ჩემი შეკლი იყო, რომ შეძი-  
საგან ტანძი ქრუანტელძა დამიარა. ფეთიანივით წამოვჭრი.  
დედახემს ფერი ეცვალა და ქანქალძა აირანა.

— შეისო ილიკო, —დამიუვირა ცხონებულმა, —არიქა,  
შეისო, მაგრავა...  
—

მე სახა გამიშრა, ენა დამება. ან რაღას ვიტეოდი. მგელ-კაცა, რომელსაც თურმე სიცილისებური ხავილი სცოლნია, ჩემს მაუკალასთან იქო და აბა რა კეთილს დაუკრიდა.

უცებ ბაღიდან სირბილის ხმა მოისმა. კარები და  
გვერდა და დავინახე, რომ ჩემი შეკლი მორბოდა ოთახი-  
საკენ და უან რაღაც შავი ცხოველი მოსდევდა მუნძულით.  
დედახემი გიჟივით მივარდა კარებს და გადარაზა...

— დედი, მაჟვალა, დედი, გენაცვალე, ჩემი შველი!.. — მი-  
კირბინე დედსთან, — გავუდოთ, დედი, კარები გავუდოთ...



რატო ისე მიუკრებ? არ გესმის! ქარები გავუდოთ! — ვეზუ-  
ლარებთვი ღებას და თან ბოდმა და ცრემლები მაღრჩობდა.

ღებამ აღელვებული ხმით წამჩურჩულა:

— არა, შვილო, რო გავეფოთ, ის წევული ჩვენც შემო-  
გვივარდება! — ამ სიტვევებთან ერთად ღებანები უფრო მაგრა  
დაებდაუქა ქარების რაზას.

ცოტასანს გავჩუმდით. აიგნის კიბეზე და შემდეგ აიგან-  
ზე ბაკაბუქი მოიხმა: ჩემი მაევალა ქარებს მოადგა და  
საცოდავი ზმუილით უსახუნებდა ზედ რქებს. ღებას ხელი-  
დან გამოუსხლტი და ფანჯარასთან მივირბინე ტირილით.  
საბრძლო მავალა მოხდგომიდა ქარებს, რქებით არაუნებდა  
და თავშესაფარსა მოხოვდა. უცებ დამინასა ფანჯარაში თა-  
ვისი ნადგლიანი გაკვირვებული თვალებით და გასარებული  
ზმუილით გამოიქცა ჩემსკენ... შპ, გული ჩამეფუფქა... რო-  
გორი გასარებული გამოიქცა!

— ვაიმე, ჩემთ მაევალა მეთქი! — დავიუვირე შე და გულ  
ამომჯდარმა ტირილს გუშატე.

ღება მომებოდა და ფანჯარას მომაშორა. აიგანზე ბოლა-  
რმუნის ხმა ისმოდა... ეტეობოდა, ჩემი შეელი შეელუაცის  
ებროდა. ცოტა სანს უკან ხრიალი მოიხმა, ზედაც საზარე-  
ლი ხარხარი მოჰყვა... ტანში ისევ ქრუანტელმა ჭამიარა. შე  
უფრო მაგრა ჩაგერშეტე ღებას და ტირილი შევწევიტე. აიგან-  
ზე რაღაც ჩამი-ჩუმი ისმოდა, თითქოს ქარებს სუნავენო. მერე  
აიგნის კიბეზე კიღაც ჩამუნმულდა და შემდეგ კი უვალაფერი  
მისწერა.

შე და ღებანები მოეს ღამეს შიძისაგან გებანკალებდით.  
აბა რაღა დაგვაძინებდა!



მეორე დღეს მამაჩემი მოვიდა და გვიამბო, რომელიც  
მგელ-კაცა დაჭირით, მაგრამ გაგვექცათ. ჩვენც ჩვენი თაფ-  
გადასავალი კუამბეთ. მამაჩემს არც კი დაუსვენია, იმწამსვე  
წავიდა და სხვა მონადირეებთან ერთად ისევ მგელ-კაცას მებ-  
ნას შეუდგა. ბევრი მებნა აღარ დასჭირებიათ მგელ-კაცას  
მისაგნებად: თურმე, სასიკვდილოდ დაჭილის, ვენახებაძღვ



მღიერს ერბინა და ღობის ძირას მომკვდარისო. იქ ეზოგათ  
მონადირეებს.

საბრალო მაჟვალა ელაგამოდაღრული და სისხლში  
მოსვრილი ეგდო.

ნემს ვაჭაკაცობამდე უცრემლოთ ვერ მოვიგონებდი სოლ-  
მე მაჟვალას, ესლაც კი ცრემლი მომერევა ხოლმე იმის მო-  
გონებაზე.

ასე დაათავა პაპამ თავისი მოთხრობა... ცოტა ხანს კიდევ იჯდა გარინდებული და მერე შეძასთვის გავიდა გარეთ ცეცხლი ხულ ჩამქრალიეთ, ნაკვერჩხლებიდა იღველუფებოდა ნაცრის ქვეშ.

დიდებას ისევ ჩასძინებოდა და გემრიელად სვრინავდა. ქარიც ისევ მწუხარეთ ზუზუნებდა.

ოთახში უცეცხლობის გამო სიცივე შემოიბრა...

მე უფრო მაგრა გავეხვიე საბანში და, ფიქრებში გართულს, ისე დამძინებოდა, რომ პაპას შემოსვლა არცუკი გამიგია.

გუგო ნარევილი.






## ნანა.



ანა ჩემო ციცუნა,  
ნანა, გენაცვალები.  
ჩაიძინე, გეოაყვა,  
ნუ აცვიტე თვალები.  
როცა დაგეძინება,  
ნახავ სიზმარს მშვენიერს:  
მოგიმზადებ რძის ფაფას.  
შაქრით დამცხვარს, გემრიელს.  
გაიღვიძებ პატარა,  
ჩაგიტკბილებ ენასა.  
ახლა-კი დაიძინე,  
ნანა შენსა ლხენასა.

მიმჭრალი.



## მოხერხებული მელია.



ოფლის ახლოს, სერზე სცხოვრობდა ერთი სახელ-განთქმული მელია. ბებერი იყო, მა-მათ-მთავარი ახლო-მახლო მცხოვრებ ტურა-მელიებისა. როცა ლამე სოფელს ჩაეძინებოდა, მელია მიირბენდა გამოფულურებულ ას-წლოვან მუხასთან და მორთავდა ჩხავილს. ამ ჩხავილზე მოცუნცულდებოდნენ ტურა-მე-ლიები და ასეთივე ჩხავილით გააგებინებდნენ ერთმანეთს, ვის სად ეგულებოდა დამხრეჩალი ძაღლი, დავარ-დნილი ძროხა ან გაძვალტყავებული ცხენი. მისცვივდებოდნენ ერთად და დაუწყებდნენ ძლევას ხერას. სოფელში საქათმეებ-საც ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით ამ ბებერ მელიას თავის სიცოცხლეში ვინ იცის, რამდენი ქალი აუტი-რებია.

დიდი ხანია სოფელი ემტერებოდა ამ ბებერ მელიას, მა-გრამ მას ისეთ ალაგას ჰქონდა სორო, რომ ვერავინ ვერ მი-აგნო. დიდ, უზარ-მაზარ ქვის უკან გაეკეთებინა ხვრელი. გამ-ვლელ-გამომვლელს ყოველთვის ეს დიდი ქვა ეჩირებოდა



თვალში და ვერ წარმოედგინა, თუ იქ ეშმაკ მელიას შენიშვნები მიმალული.

შემოდგომის ერთ საღამოს მელიამ თავი გამოჰყო სოროდან და ნამძინარევი თვალებით დინჯათ შარა-გზას გაჰსხედა, თითქოს ათვალიერებდა, საით უნდა წასულიყო. შარა-გზაზე სოფლელები შინისკენ მიღიოდნენ ნელი ლილინით და ურმების ჭრიჭინით. ზოგს სიმინდის ტაროებით შეკონდა ურმები და ტვირთული, ზოგს ჩალით და ზოგს კიდევ რით. ქალებს—ლობიოთი სავსე კალათები შეედგათ მხრებზე, ბავშვები ხბოებს მიერეკებოდნენ.

მელიას შიმშილისაგან კბილები უკაწკაწებდა. მოაგონდა იქვე ახლოს მდებარე ვენახი, სადაც ქარვის ფერად ჩამომწიფებული ყურძენი თითქოს ევედრებოდა გამვლელს, დროა, მომწყვიტე და დასტყბი ჩემი ტკბილი წვენითაო. მელიას ბალის გვერდით საქათმეც ეგულებოდა. ამ საქათმიდან რამდენჯერ მოუტაცნია მსუქანი ქათამი. ამ ტკბილმა მოგონებამ კარგ გუნებაზე დააყენა, ბანჯგვლიანი კუდი გააქნია და ცუნცულით გზას გაუდგა.

ამ დროს ბალისა და საქათმის პატრონის შვილი, თორმეტი წლის ბიჭი, სიმონა ბალში ყურძენსა სჭამდა და თან დედას ეუბნებოდა:

— დედილო, რა მოუხერხოთ იმ ეშმაკ მელიას, ჩემი თეთრი ქოჩორა ქათამი რომ შემიქამა; როგორ ამოვიყარო მისი ჯავრი?

— შვილო, აბა რა ვიცი... მთელი სოფელი ემტერება იმ წყეულს და ვერაფერი კი დააკლეს,—უპასუხა დედამ.

სიმონა ერთხანს დაფიქრდა, შემდეგ აღტაცებულმა წარმოსთქვა:

— მე ვიცი, დედილო, რას ვიზამ: გუშინ რომ ქორმა დედალი მოგვიკლა, იმას დაუდებ საქათმის წინ და უდარაჯებ. როცა მობრძანდება ბატონი მელია, უთუოდ ქათამს წაავლებს პირს და სოროსაკენ გაქანდება. ჩვენც მივსდიოთ უკან და გავიგებთ იმის საიდუმლო ბინას.

დედას მოეწონა ბავშვის აზრი.



დაღამდა. მთვარემ მთის მწვერვალიდან დაანათა სოფელს მელია წუწეი მელია ხელი ცუქ-ცუქით მიუახლოვდა საქათმეს. და-ინახა თუ არა საქათმესთან მსუქანი დედალი, ცოცხალი ეგო-ნა. ჩუმათ მიეპარა, დაავლო პირი და გაქანდა სოროსაკენ. სი-მონა და მისი დედა უკან აედევნენ. ხედავდნენ მოკრიალებულ მთვარის შუქწე, როგორ მირბოდა მელია. დიდ ქვასთან რომ შიახწიეს, სადღაც გაქრა ის კუდიანი.

უტრიალებდნენ ქვას და თან ბუტბუტებდნენ დედა-შვი-ლი: დასწყევლოს ღმერთმა თვალთმაქციო...

ბოლოს სიმონაშ რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:  
— ვნახე, დედა... ვნახე, აგერ... აგერ...

გახარებულმა სიმონას დედამ ჩქარა მიაყარა ქვები სოროს კარს, და მთელ სოფელს გააგებინა ეს სასიხარულო ამბავი.

ყოველი მხრიდან მორბოდა ხალხი. მოპქონდათ კეტები. გოგო-ბიქებმა ხმელი ფიჩხი მიაყარეს სოროს კარს, შეასხეს ნაეთი და წაუკიდეს ცეცხლი. ხალხის ხმაურობა აყრუებდა მთელ სოფელს. ქალები ღოცავდნენ სიმონას, რომ მან ასეთი მავნე მოაშორა სოფელს და მოხერხებულ ბიჭს ეძახდნენ.

ამ დროს ჩენი მელა სოროში არხეინად დედალს შეექცეოდა, თან იცინოდა, ხალხის ყიქინა რომ ესმოდა; იცოდა, რომ იქ ვერას დააკლებდნენ. მაგრამ უცებ კვამლის სუნი ეცა. მელია გაჯავრებული გამოხტა.

— იმ საძაგლებს ჩემი დახრჩობა უნდათ ცეცხლითა და კვამლით, მაგრამ ვერ მოგაროვით!

იმავე წუთს ეცა სოროს კუნქულს, სადაც მას სათადარი გოდ გაკეთებული გასასვლელი ხვრელი ჰქონდა, გაძერა მეო-რე მხარეს და გავიდა კარგა შორს სოროდან. როდესაც მაღ-ლა გორაზე ავიდა, ერთი ფრთხილად მიიხედა დიდი ქვისაკენ, სადაც ხალხის ერიამული იღგა, და ამოიხვნეშა, ეწყინა, რომ იმის სოროს კვალს მიაგნეს. მერე დაღუნა თავი და გზას გა-უდგა, მაგრამ საით, თითონაც არ იცოდა.

ამის შემდეგ ასწლოვან, გამოფუტურებულ მუხასთან აღარ შეკრებილან ტურა-მელები და სოფელსაც აღარ გაუგონია ბებერ მელიას ნაცნობი ჩხავილი.

მიმქრალი.



బ స డ ఊ స ర్స క.



ଅମରିଳିର ଶିରିର, ପ୍ରେସାର୍ଜେବି  
କୁଣ୍ଡଳିନୀର ଶୂର୍ଦ୍ଧଲୁହିତା,  
ମାଗରାମ ପାର୍ଜେବିଲେ ଏହି କାଙ୍କାଳିତା  
ଦେବର୍ଜେବିକାତ ପୁର୍ବଲୁହିତା.

კავკაციურად დაგისვდებით  
სიცილით და ხარხარითა;

და თუ გავეიძლიანდი,  
იცოდე, არ გაგახარებთ:  
რომ სიცივეებ არ გვაჯობოს,  
მებად შენვე მოგინმარებთ:

၁၂၂၂-၁၃၀၅ တော်ဝင် တော်ဝင် တော်ဝင်  
ရွှေပြည်နယ်၊ ရွှေပြည်နယ်၊ ရွှေပြည်နယ်၊ ရွှေပြည်နယ်၊

და მენ თავად დაინახავ,



କୌମ ବର୍ତ୍ତାଯିରାଦ ଏହି ପାଞ୍ଚମୀରେ ବନ୍ଦ ହେଲା,  
ରତ୍ନଗର୍ବଳାରୁ ମୁଖୀର ନାମକ୍ଷେତ୍ରରେ ବନ୍ଦ ହେଲା,  
ପାଶ୍ଚାତ୍ୟାନ୍ତରେ ବନ୍ଦ ହେଲା ଏହି ପାଞ୍ଚମୀରେ.

շաշակ քուն զամոցութան  
ցուցելես դա տևողամյուրը ծե,  
մենամքու առ դաշունութեանը ու  
ալուսույրուած լուսուն դա յշուրը ծե,  
առու յշուրու առ մոհովութեանը ու,  
զուսույնունը ծե, զուրութեանը ու,  
դա ոյ պատրմու նազունութեանը ու  
Շամիկ անը գագա՞լունը ու...

ଶାମତରିଦିଶ ତିରିଳ, କ୍ଷେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ  
ଜୀନଙ୍ଗା-ନ୍ଦାର୍ଥୀ ଶୂର୍ଦ୍ଧଵୁଲିତଙ,  
ମାଗରାମିଶ୍ରକାର୍ଯ୍ୟର୍ଥୀ, ଏହି ନିର୍ମାଣପରିବାହି  
କ୍ଷେତ୍ରର୍ଥୀରେ ଉର୍ଦ୍ଧଵୁଲିତଙ।

ରୂପିନ୍ଦ୍ରାବୀତ କାହାରାତିର,  
ଫିରିବି, ମାତ୍ରା-ଶ୍ଵରାବୀତା  
ରୂ ନିଜୀରେ ନିଜିଲୁଙ୍କ ଧାରାବୀତ  
ପ୍ରାଣରେ ଅନ୍ତରାବୀତା.

## ପାତା ମର୍ଦ୍ଦବେଶିଗଲାଳ.





კბილის ექიმის ბინაზე და ლაპორატორიაში მუშაობა.

უკეთ დიდი სანია, რაც შევა კაცები ბერლინში ცხოვოთ  
ბენ, გერმანიის სატახტო ქალაქში. მშენივრად მოეწევნენ  
იქ, განსაკუთრებით შერზილება და მწიგნობარი. პირველმა  
ეკვლა მაღაზია შემოირბინა, მეორე-კი ერველ დღე გერმანელ  
მეცნიერების სახლებში ძვრებოდა და სიამოცნებით სინჯაფ  
და მკელებურ წიგნებს.

ერთხელ მწიგნობარი, უკუღმართა, ჩიუკა-ჩი და მურზია-ლეა სასეირნოდ წავიდნენ. როდესაც ერთი სახლის წინ გაიარეს, გულ-შემზარევი ფირილი მოესმათ.



— რა ამბავიააქ? — შეე შინდათ ჯუჯებს და მოკრძალებით კარებმი შეიხედეს. მურზილეას შიძისაგან ფეხები ჩაეჭერა.

— ე-ე! აქ კბილის ექიმი სცხოვრობს! —  
სთქვა მწიგნობარმა, რომელმაც მოასწრო  
კარებმი მემრობა და მაძინე უკან გამო  
მორომა: — ვიდასაც წებილს აძრობს. უუ-  
რეთ! — მიუბრუნდა მეგობრებს, — ფანჯა-  
რაზე სხედან ექიმი მაზპერებაზი და  
ალქიმიკოსი. ნეტავი რად შეიძარნენ იქ?  
მურზილეამ რომ გაიგონა, ჩვენები  
არიან და საშიში იქ არაფერიაო, გამოყო-  
ცხლდა და ჩვეულებრივ  
თავებურად დაიწეო და-  
ცინვა.



— რად ევირის ეს კა-  
ცი, რა სისულელეა ასე  
ღრიალი?. დაწმუნებუ-  
ლი ვარ, რომ ტეუის და სულ არა სტკივა კბილი! — ეუბნებოდა  
მურზილეა მაზპერებაზს, რომელიც ურადღებით აღვნებდა  
თვალს ოპერაციას.

— ერთი ნეტა შენ ამოგაბრონ კბილი, ვნახავ, როგორ  
დაიწებ ევირილს! — შენიშნა მაზპერებაზმა მურზილეას.

— კრინტსაც არ დავმორავ, აი ნახავ! — უბასუხა მან.

— აბა ვნახოთ! - სთქვა ექიმმა და თვალი დაუქნია ალ-  
ქიმიკოს, რომელიც გართული იქო სხეა-და-სხეა წამლების  
შემზადებაში.



მურზილება გადაფითოდა, მაგრამ მაინც პატარეთამას მავშე  
დაკდა:

— დამიჭირე, ბლუქიმიკოსო, მაგრა, თორემ კადაგარ-  
დები, — სთქვა მან ბეჭნებლებულის ხმით და კბილების ფე-  
მით. — შენ, მაზარეულაზო, უცბად არ ამოსწიო. იქნება კი-  
ბრზე მატებინო კიდეც! — კვიროდა ის.

მაგრამ როგორცეცი გამოჩენდა ექიმი გაზით, მურზილება  
დაიუვირა არა ჩვეულებრივი ხმით, წამოსტა ფეხზე, წააქცია  
ბლუქიმიკისო და გავარდა ქუჩაში.

— რა მშიშარაა, გვინდოდა მსოლოდ შეგვეძინებინა,  
და ის კი ისე დაფრთხა, რომ კინაღამ ჭბუაზე არ შეა-  
ძლოა.

იმავე საღამოს, როდესაც ჭუჯები შეგროვდნენ, რომ  
ერთმანეთისთვის მთელი დღის შთაბეჭდილებანი გაეზიარე-  
ბინათ, ჩინელმა ჩიკაჩიმ უამბო ეველას მურზილებას ამბავი  
კბილის ექიმთან.

— აი თქვენ მუდამ იცინით, — გააწევეტინა მურზილებამ,  
რომელსაც არ უნდოდა ეველას სცოდნოდა მასი ამბავი, — იმ  
დროს, როდესაც თქვენ უსაქმოდ დარბინეართ, მე ახალ-ახალ  
რამებს ვიყვლევ და მეცნიერებას ვეწაფები.

— რაო, რაო, მეცნიერებას ეწაფებაი?! — გაისმა აქეთ-იქი-  
დან სიცილი.

— მართალის არ ვამბობ? — სთქვა მურზილებამ და გადა-  
სედა ექიმს, — აი რა აღმოვაჩინე: წავედი სასეირნოდ ქალაქში  
და უცბად მივადექი შესანიშნავ ლაბორატორიას, ე. ი. ისეთ  
დაწესებულებას, სადაც სხვა-და-სხვა ცდას ასდენენ. ოჟ, რომ



იცოდეთ, რა საინტერესო რამები ვნახე! გინდათ წაგიძელოთ კარგი განოთ?

— წაგიძეთ ეველანი, წაგიძეთ! — სთქვა. ვიცაიამ.

— წაგიძეთ ლაბორატორიაში! — ძევერთდნენ მას სხვებიც.

ჯუჯები ხელად წამოსტნენ და ღაედევნენ მურზილეას რომელიც წინ გაუძლეათ.

ამაებად მიდიოდა მურზილეა წინ და მაღეც გაჩერდა ერთი დიდი შენობის წინ. მან ამაეაღვე წარმოსთქვა:

— პა! არი!

იმავე წუთს ჯუჯები ოთახის ეველა პუთხეს მოედვნენ და უცნაურ ხელსაწეოების თვალიერებას შეუდგნენ.

ჰაგიდაზე იდო მიკროსკოპი, ე. ი. ისეთი ხელსაწეო, რომელიც სულ მაწარმენტელა საკნებს დიდად აჩვენებს.



— ვაი! — დაივვირა აკანკალებული სმით მიშეამ, რომელიც მიკროსკოპი ერთი ციცქანა ჭიას სინჯავდა.

ჩქარიამაც ჩაიხედა შიგ და გაგვირცებისაგან თითოს წევრებზე შედგა: ჭია-ღუა ადამიანზე დიდად ეჩვენა. მეორე პუთხემი ბაპა-წევრას ეჭირა მწვანე ბაჟარი, რომელსაც წიმა გამადიდებული შეძით სინჯავდა. ჩინელს, რომელიც კარგად სატავდა, მაღალზე გაეხარდა, როცა ლაბორატორიაში სხვა-და-სხვა ფერები დაინახა. მან ძევრია ეს ფერები, ხო-

ლო ვიცაია გულმოღვინედ შეუდგა მათ ნაევას სამართლის  
ში. არყიცაია და ტრიალა სპირტზე აღუღებდნენ რა-  
დაცა სითხეს. ომელიძაც რეტორტასთან (მუშის ჭურჭე-  
ლი, ომელმიაც სხეულა-სხევა ქიმიურ ცდას ახდენენ)  
მწიგნობარი ფაციულობდა. ოცდა ჰაპა-წვერამ დაინახა  
კა, გაუძვა ბაჟაუი ხელიდან და მივარდა მწიგნობარს. ის  
სულაც არა სწუხდა, ომ შემინებული ბაჟაუი აქეთ-იქით  
დარბოდა და დასტოდა.



— ვაიქ, მეშინიან! აქეთ მორბის, აქეთ! — გაისმა უცემ  
გულძემზარავი ხმა.

შემინებულმა მმებმა შეხედეს ერთმანეთს, მერე გაიქანენ იქითკენ, საიდანაც საძინელი უვირილი ისმოდა. სანამ კუჭები ფიზიკურსა და ქიმიურს კვლევა-ძიებაში იყვნენ, მურზილება შემმვრდინეთ ანატომიურ კაბინეთში, სადაც იდგა ჩონჩხები და ეკიდა ადამიანის ტანის გაჭრილ ნაწილების სურათები. ამის დანახვაზე მურზილებას ჩვეულებრივად შევ-

შინდა და მორთო ეკირილი. ჯუჯებმა პირველად ნახეს პწევ  
თი სურათები, მაგრამ უქიმი მაზრებელაზი, რომელსაც, რა-  
სკეირველია, ესწავლა თავის დროზე ანატომია, და ჩუმი  
მისანი, მშენებრი მცოდნე ეველა ამეებისა, შეუდგნენ მმების  
განათლებას.



— ხომ ხედავთ, აი ამ თავს, რომელიც დაფაზეა დახატუ-  
ლი,— ხსნიდა ჩუმი მისანი. — ნაჩვენებია, რამდენი ნაწილისა-  
გან შესდგება ადამიანის თავი.

— იქ რა ბნელი ოთახია? — გააწევეტინა მშიძარა მურ-  
ზილეამ.

უქიმა მაზრებელაზია გაიზიმა და არაფერი უპასუხა:  
მან შევვ დიდი ხანია გაარჩია ამ ოთახში ჯადოსნური ფა-  
რანი და თეთრი ეკრანი, რომელზედაც უსიტყვოდ სურათებს  
უჩვენებენ. ის შევიდა თავაშმი, შეუმნენველად შესდო ფარან-  
ში ის სურათი, რომელზედაც დახატული იყო ბუზი და  
კალია და მოუკიდა შაწაწებინა ლამებას. მაშინ თეთრ ეკრან-

ზე გამოჩენდნენ ეს მწერები, ერთი ასად გაჭრტებულნის, მნელი ასაწერია, რა ძიშმა მოიცვა მთელი საზოგადოება. პატარა მაულებლები იმ წამსკვე ოთხსიდან გავარდნენ.



მაგრამ უფრო გულმაგარნი მალე დაბრუნდნდნენ უკან და, როცა გაიგეს, რაძიაც იქო საქმე, სიცილით დაიხოცნენ. ცოტ-ცოტა ეკელანი დაბრუნდნენ. მარტო მურზილება ვერა ბერავდა ოთახში შემოსვლას, მიუხედავად ბევრი თხოვნისა და დარიგებისა.




## საბჭოთა პირველი საბავშვო მოედანი.



ა ბედნიერნი არიან ის ბავშვები, რომელთაც იხილეს საბჭოთა პირველი მოედანი! იხილეს ოკულური უციონურ კომიტეტის ჩრდილოფანი ბაღი, სადაც თავისუფლად სუნთქავ მტკრიან ქალაქის შეძლებ. კერძეის სეები, მაღალი ჭანდრები, იქვე მორიახლო გარდის ბუჩქები, რომელნიც პირდაპირ თავბრუს გახვევენ თავის სურნელოვანებით. თვალს გრაცებთ გიშმავი შადრევანიც, რომლის აუზში სცურავენ უკრადულებადი თევზები. აგრ, მაღალი, საიდუმლოებით სავსე კოძე, საიდანაც მოელი თბილისი ისე მოსხანს, როგორც სელის გულზე. გარდების სეივანს ქვეშ გაშლილი სუფრა, ზედ ტბილი ჩაი, ჰური; უკელი. სეივნის ტოტებზე მოსხანს ბავშვების სათამამოები. რა გინდა, რომ აქ არ იქნას, რაც კი ბავშვის სულსა და გონებას იტაცებს!

აი ასეთია საბავშვო მოედანი გარეგნულად.

ორასმა ბავშვება გაატარა აქ სამი თევე და ისიამოვნა. ეს ბავშვები მეტ წილად ქართველები და სომხები იუვნენ. იუვნენ რესის ბავშვებიც.



緬甸抗議運動 仰光抗議示威 緬甸民族抗議運動



ბავშვები ექვს ჯგუფად დაიკავნენ. მათ ჟეავდათ ხელმძღვანელობის განვითარები, რომელიც ასწავლიდნენ ბავშვებს ხატვას, ძერწვას, სიმღერას, უამბობდნენ ზღაპრებს, მცენარეების ამბავს, თვისებას. შემდეგ იმართებოდა ცეკვა, თამაშობა, სისტოლი. ერთი სიტკათ, ერთობოდნენ და თავისებურად ღრის ატარებდნენ. მერე, 11 საათზე, დაიბანდნენ ხელებს და შეუდგებოდნენ ჩაის სმას. მორიგეობი, რომელთაც თვით ბავშვები იოჩენდნენ, ემსახურებოდნენ დანარჩენებს. ბავშვებსა და ხელმძღვანელ ქალებს მორის ტებილი სიუვარელი იყო. ბავშვები ენვარდნენ და ეალერსებოდნენ ამ ხელმძღვანელებს, როგორც თავიანთ მშობლებს.

ამ მოედნიდან წასვლისას ბავშვებმა დიდი ზეიმი გამართეს. მათ აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: სტუნათბდნენ, კისკისებდნენ, ტაშს უკრავდნენ.

ზეიმის წინა დღეს, სამწუხაროდ, დღიდი თავსხმა იყო, რომელმაც სულ გაანადგურა ბავშვების მიერ გამართული და ათასფრად მორთული გარდების ხეივანი. მაგრამ ამან ხელი არ შეუძლა ბავშვების მხიარულებას. მესწერა თუ არა წვიმა, ბავშვებმა სახელდახელოდ შეასწორეს მიუემული ხეივანი და გამართეს წარმოდგენა, ლექსების კითხვა და სხვა. თავიანთ სამმობლო ენაზე ბავშვებმა შეასრულეს სხვა და სხვა სცენები, სიმღერები, ლექსები. იცვეკვეს ლექური, იძლერეს სოროთი გავასიური სიმღერები. ბევრი ბავშვი თავის მიერ მოგონილ ტანისამოსში იყო გამოწეობილი.

ზეიმი დასრულდა მშენიერი აპთეოზით: „ზღაპრების გამოსელა“. მარშის ხმაზე ბავშვები რიგ-რიგათ ჩამოვიდნენ სცენიდან ხეივანში. წინ მოუმდოდათ ზღაპრების ფერია, რო-




მელსაც ხელში ვევებერთელა წიგნი ეჭირა. უკან მოსტრებული არა ზღაპრების გმირები. ამ უკანასკნელთა მორის ერთა კუდიანი ბებერიც მოგავული დიდი ცხვირით. ზოგი ბავშვი ეროვნულ ტანისამოსმი იქო, ზოგსაც ფერადი ქადალდის ქუდი ეხურა. მსიარელებაში მონაწილეობას იდებდა ვევლა 200 ბავშვი.

შემდეგ ბავშვები შევიდნენ ვარდის ხეივანში, სადაც სუფრაზე დახვდათ სხვა და სხვა სილი: ვაძლი, კაგალი... ხეივანი მიგნით მორთული იქო ბავშვების მიერვე გაყჟთებულ კოხტა სამეჯულებით.

ბავშვებმა ზაფხულის შთაბეჭდილებანი ჩატარ-ჩატარა წერილები გამოხატეს. ერთმა ლექსიც კი დახწერა. ეს ლექსი ასე იწევება: „მიუვარს სასახლე, რომლის თითო ბუჩქს ისე ვიცნობ, როკორც ჩემს სამმობლოს“.


ელ. სილი.






## გ ა ს ა რ თ ო გ ი.

### მ ა ხ უ დ ღ ს ე ა ნ გ ა მ ა ღ ი ს ა თ ა მ ა მ ა ღ ი



დედამ სადილისათვის მუხუდო იყიდა,  
რეზომ სთხოვა:




- მომეცი დედა ცოტა მუხუდო.
- რად გინდა?
- მე ასანთის ნამწვი მაქვს და სათა-  
მაშოებს გავაკეთებ.



დედამ მისცა მუხუდო: რეზომ დაალბო წყალში მუხუდო  
და როცა დარბილდა, მოიტანა ნამწვი ჩხირები და გააკეთოთება  
კიბე, სკამი, მაგიდა, ფოცხი, სამთითი, გამოსჭრა ქალალდი  
როგორც ბარი და ცელი და ტარი გაუკეთა.



\* \*



# ବିଜ୍ଞାପନ ବସନ୍ତ



ବିଜ୍ଞାପନ



ମଧ୍ୟାମ୍ଭାବିତ



ମୁଦ୍ରାଣାନ୍ତି କାପୁ



ଶାଙ୍କଗ



ତୃତୀୟାମ୍ଭାବିତ



ଦ୍ୱାଦ୍ସମ୍ଭାବିତ

1922 წ ე ლ ს



გამოვა საემაწვილო დასურათებული ეურინალები

მცირეწლოვ. „ნ ე კ ე ზ უ ლ ი“ მე-XVII წ.

მოზრდილთათვის „ჭ ი ჭ ი ლ ი“ მე-XXXIII წ.

ეურინალები გამოდის სახალხო განათლების კომისარიატის  
სოციალურ აღზრდის მთავარმართველობასთან არსებულ  
სარეზაქციო კოლეგიის სელმედვანელობით.

მილის მოწმოა მიიღება ორივე უძრავი ურთის თვიურად  
და ლირს 15 ათასი მანერი.

სასწავლებლებს დაურიგდებათ უსასყიდლოთ.

შესაბამისი: თბილისი, ლორწის-შელიქოვის ქუჩა № 5, სახალხო განათლების კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია.

რედაქტორი: სარეზაქციო კოლეგია.